სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №

(ელექტრონული ტენდერი SPA----------)

თბილისი **-----2018 წელი**

ერთი მხრივ, **შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“** (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი შენგელიას სახით და მეორე მხრივ, ---------- (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ---------- სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტისა და შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (SPA-----) საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი (წყალტუბოს გადასახვევი)-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზის კმ113-კმ125 მონაკვეთზე პკ28+60-ზე, მდინარე სგრიმრაშურზე ფოლად-რკინაბეტონი ხიდის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა (შემდგომში - სამუშაოები) CPV45221110.

1.2. კონკრეტულად ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასახელება, მოცულობა, ერთეულის ფასი და საერთო ფასი მოცემულია დანართში №1 (ხარჯთაღრიცხვა), რომელიც თან ახლავს ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. სამუშაოების შესრულების პირობები

2.1. სამუშაოების დაწყების ვადა განისაზღვრება შემსყიდველის წერილობითი ან ზეპირი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.
2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მიღებიდან სამუშაოების დაწყებამდე მიმწოდებელმა შესმყიდველს უნდა წარუდგინოს შესასრულებელი სამუშაოების გეგმა-გრაფიკი.
2.3. სამუშაოების შესრულება განხორციელდება საპროექტო დოკუმენტაციის მოთხოვნათა შესაბამისად და სრული დაცვით.
2.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 15 დეკემბრამდე.

მუხლი 3. ღირებულება, ანგარიშსწორების წესი და საგარანტიო ვადა

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს ----- (----------) ლარს.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს და სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის: სამუშაოებისთვის საჭირო მასალებს, მასალების ტრანსპორტირებას, აუცილებელი ნარჩენებისა და მასალებისგან სამშენებლო ობიექტის გათავისუფლებას, ექსპერტიზისთვის აუცილებელი ხარჯს (საჭიროების შემთხვევაში), დასუფთავების, ასევე ხარჯთაღრიცხვით, საპროექტო დოკუმენტაციითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ნებართვის ხარჯს და ყველა სხვა ხარჯს, რომელიც აუცილებელი იქნება სამუშაოების შესრულებისთვის.

3.3. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საბანკო რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
3.4. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება თვეში ერთხელ მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში. მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს წარუდგინოს ანგარიშ-ფაქტურა მხოლოდ ამ ხელშეკრულების 5.3. მუხლში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.
3.5. დასაშვებია ავანსის გაცემა. გასაცემი საავანსო თანხა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20%-ს. აღნიშნული თანხა მიმწოდებლის მიერ გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების მიზნით.
3.6. მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს ბანკის ან ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული გასაცემი ავანსის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების საბოლოო ვადას. ავანსით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საბანკო გარანტიის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
3.7. ავანსად გაცემული თანხის დაქვითვა განხორციელდება შესრულებული სამუშაოების ანაზღაურებისას, შესრულებული სამუშაოების პროპორციულად.
3.8. იმ შემთხვევაში თუ ავანსის სრულად დაქვითვა ვერ განხორციელდება ხელშეკრულების 3.7. პუნქტით გათვალისწინებული წესით, ავანსის თანხის დარჩენილი ნაწილის სრულად დაქვითვა განხორციელდება საბოლოო ანგარიშსწორებისას.
3.9. იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ არ შეადგინა 3.1. პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია სამუშაოთა აუთვისებელ მოცულობების შესრულებაზე და მის გადახდაზე.
3.10. მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა შეადგენს 3 (სამი) წელს, რომელიც აითვლება 5.5. პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან.
3.11. საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა გონივრულ ვადაში.
3.12. სამუშაოების ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ 3.4. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორებისას დაკავებული იქნება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 3%, რომლის გადახდაც განხორციელდება საგარანტიო ვადის (სამი წელი) გასვლის შემდეგ.

3.15. იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა მიზეზის გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ან უარს განაცხადებს დეფექტების აღმოფხვრასთან დაკავშირებით, შემსყიდველი შეაფასებს დეფექტების აღმოფხვრის ხარჯს და მიმწოდებელს არ აუნაზღაურებს შესრულებული სამუშოების ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებულ თანხას. თუ დეფექტების აღმოფხვრის ხარჯისათვის საჭირო თანხა აღემატება სამუშოების ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებულ თანხას, შემსყიდველი დამატებით დააკისრებს მიმწოდებელს ზემოაღნიშნული განსხვავების გადახდას, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს იგი მოთხოვნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 4. სამუშაოს შესაბამისობა

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს საპროექტო დოკუმეტაციის მოთხოვნებს და ნორმებს, ასევე სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 5. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

5.1. სამუშაოს მიღება ხორციელდება ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში აღნიშნულ ადგილზე.
5.2. ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.
5.3. მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოები მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების აქტი - ფორმა №2) და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების შემდეგ.
5.4. ამ ხელშეკრულების ძალით შესრულებული სამუშაოების შემოწმებასა და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს შემსყიდველის მიერ შერჩეული პირი, რომელიც ადგილზე ამოწმებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ობიექტზე ყოველ თვეს შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას.
5.5. სამუშოების სრულად დასრულების შემდგომ მხარეები გააფორმებენ სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. მიმწოდებლის უფლება-მოვალეობანი:

ა) მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;

ბ) მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები განახორციელოს საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა სრული დაცვით;

გ) მიმწოდებელი ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებისას გამოყენებული მასალების ხარისხის შესაბამისობის სერთიფიკატები, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ ჩაიბაროს სამუშაოები.

დ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

ე) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

ვ) მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაური, ვიბრაცია და მტვრის გავლენა.

ზ) სამუშაოების დასრულების შემდეგ თავისი ძალებითა და სახსრებით დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მანქანა-მექანიზმებისაგან, მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, ნაგვისა და სამშენებლო ნარჩენებისგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ.;

თ) სამუშაო ადგილის ფარგლებში უზრუნველყოს გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა;

ი) მიმწოდებელი პასუხისმგებელია შეასრულოს სამუშაოები პერსონალისთვის უსაფრთხო და ეკოლოგიურად მისაღები გზით;

კ) მიმწოდებელი პასუხისმგებელია სამუშაოებისათვის გამოყოფილი ადგილის გამოყენებაზე და სამუშაოების დასრულების შემდეგ გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენაზე (ასეთი საჭიროების შემთხვევაში);

ლ) მიმწოდებელი პასუხისმგებელია შეასრულოს სამუშაოები პერსონალისათვის უსაფრთხო და ეკოლოგიურად მისაღები გზით;

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) აწარმოოს ინსპექტირება საამისოდ შერჩეულ პირებთან ერთად სამუშაოს მიმდინარეობაზე, თანახმად მოქმედი სამშენებლო ნორმების დაწესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოები;

ბ) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენად ჩაითვლება მოვლენა, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

7.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

მუხლი 8. პასუხისმგებლობა და შედეგები

8.1. სამუშაოების შესრულების საერთო ვადის და/ან გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ვადაგადაცილება 10 (ათი) დღეზე მეტი ვადით ჩაითვლება ხელშეკრულების არსებით დარღვევად და შემსყიდველს უფლება ექნება ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.2. ანგარიშსწორების დადგენილი ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლოს სახით გადასახდელი თანხის 0,02% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. მაქსიმალური საჯარიმო თანხა ანგარიშსწორების დადგენილი ვადის გადაცილებისათვის არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ს.

8.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.4. თითოეული მხარე ვალდებულია დარიცხული პირგასამტეხლო გადაიხადოს მოთხოვნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

8.5. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებელმა შემსყიდველს წარუდგინა ---------ს მიერ --------- წელს გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, რომელიც წარმოდგენილია ლარში. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადაც 60 (სამოცი) დღით აღემატება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადას.

8.6. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია გამოიყენება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, ასევე ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო.

მუხლი 9. ინსპექტირება

9.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ინსპექტირება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე, მათ შორის სამუშაოს ხარისხის პერიოდულ ინსპექტირებაზე.

9.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
9.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 10. სხვა პირობები

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 30 იანვრის ჩათვლით;
10.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;

დ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა.

10.3. ნებისმიერი ცვლილება და დამატება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.
10.4. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოს შესრულების დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.
10.5. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.7. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.8. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; იმშემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

<u>მუხლი 11 მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები</u>

შემსყიდველი:	***მიმწოდებელი:***
შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“	
ს/კ:205140257	

მის: ქ. თბილისი, ორხევის დასახლება,
ახვლედიანის N21
ბანკი: ს.ს. ,,თიბისი ბანკი“
კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE17TB1100000360200175

გიორგი შენგელია _____